სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №06/267

ქ. რუსთავი

13 ივნისი 2012 წელი

ერთი მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კახა ბარათაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ლ და კ" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით კაპანაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის (გამარტივებული შესყიდვა) და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 მაისის №939 (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) განკარგულების თანახმად დებენ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადახდადს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე" - „კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5„მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქალაქ რუსთავში საცხოვრებელი კურპუსების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა. (დანართი№1-5-ში მითითებული მისამართების მიხედვით). (CPV45200000)

2.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების აღწერა მოცემულია დანართ №1-5-ში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 80 889.50 (ოთხმოცი ათას რვაას ოთხმოცდაცხრა ლარს და 50 თეთრს).

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება წარმოებს „მიმწოდებლის" მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი ფორმა №2-ის და ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 20 სამუშაო დღის განმავლობაში. ფორმა №2 დამოწმებული და ხელმოწერილი უნდა იყოს ტექ. ზედამხედველისა და თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მიერ.

4.3 საბოლოო ანგარიშწორება განხორციელდება „მიმწოდებლის" მიერ სამუშაოს შესრულებაზე წარმოდგენილი ანგარიშფაქტურითა და ფორმა №2 –ით განსაზღვრული თანხის 90%–ის ოდენობით, ხოლო დარჩენილი 10%–ის ანაზღაურება მოხდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე და თვითმმართველ ქალაქ რუსთავში წარმოებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმღები ჯგუფის მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ბიუროს მიერ გამოვლენილი შენიშვნები. (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4.4 წინასწარი ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით, მხოლოდ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ოდენობის საბანკო გარანტიის საფუძველზე.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის ეტაპობრივად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა №2–ის საფუძველზე დამოწმებული და ხელმოწერილი ტექ.ზედამხედველისა და თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მიერ. ხოლო საბოლოო მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ფორმა №2–ს საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება სრულად მიღებულად, მხოლოდ თვითმმართველ ქალაქ რუსთავში წარმოებული სამშენებლო–სარემონტო სამუშაოების მიმღები ჯგუფის მიერ შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელსაც „შემსყიდველის" მხრიდან ხელს აწერს მიმღები ჯგუფის წევრები და თავმჯდომარე, ხოლო „მიმწოდებლის" მხრიდან შპს „ლ და კ"-ს დირექტორი დავით კაპანაძე

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

6. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

6.1 სამუშაოს შესრულების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2012 წლის 15 აგვისტომდე.
6.2 სამუშაოს შესრულების ადგილად განისაზღვრება ქ.რუსთავი. დანართი№1-5-ში მითითებული მისამართების მიხედვით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) მომსახურების სრულ და ჯეროვნად გაწევამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
გ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად ან ხარისხობრივად ნაკლული მომსახურება.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია.
ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოქმედი საშენებლო ნორმების, წესების მიხედვით, სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1 პუნქტში;
ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება დანართი №1-5-ის შესაბამისად;
გ) სამუშაოს საგარანტიო პერიოდი: მიღება– ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წელი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური (წარმოდგენილი მისი უფროსის სახით)
8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:
ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება
ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.
გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.
8.3 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების **0,5%**-ის ოდენობით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების შეუსრულებელი ვალდებულების **5%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

12.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია (ხელშეკრულების ღირებულების 3%), რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას როგორც მისი განუყოფელი ნაწილი, მოქმედებს 2012 წლის 12 ივნისიდან 2012 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობის შესაბამისი საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო.

12.3 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებას ან ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს გარანტიის დაუყოვნებლივ დაბრუნება.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
თვითმმართველი ქალაქი რუსთავი	შპს „ლ და კ"
მის: ქ.რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი №20	მის: ქ.რუსთავი მეგობრობის №43-48
საიდენტიფიკაციო კოდი № 216433287	საიდენტიფიკაციო კოდი №216441232
სს „ლიბერთი ბანკი"	ს/ს „ლიბერთი ბანკი"
ბ/კ № LBRTGE22	ბ/კ № LBRTGE22
ა /ა № GE78LB0125148543037000	ა /ა № GE33LB0113153848402000
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე:	შპს „ლ და კ"-ს დირექტორი:
კახა წარბალაშვილი	დავით კაპანაძე

ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: გიორგი არჩვაძე

დანართი №1

გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა

დონეცკ-მეტალურგთა გას. №22ა საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია

№	სამუშაოების დასახელება	განზ.	რაოდ.	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი.
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	დაზიანებული სახურავის დემონტაჟი ძირს ჩამოტანით	მ2	221		0.0	1	221			221.0
2	სახურავის მოწყობა მოთუთუებული პროფნასტილით	მ2	200			3.75	750			750.0
3	მოთუთუებული პროფნასტილი (სისქით 0,5 მმ)	მ2	250	8.5	2125.0					2125.0
4	დაზიანებული ხე-მასალის დემონტაჟი	მ3	0.2			30	6			6.0
5	I ხარისხის ხის მასალის მოწყობა	მ3	0.2	572	114.4	40	8			122.4
6	პარაპეტის მოწყობა მოთუთუებული თუნუქის ფურცლით	მ2	6			3	18			18.0
7	მოთუთუებული თუნუქის ფურცელი (სისქით 0,5 მმ)	მ2	8	7	56.0					56.0
8	ენდაო	მ2	12			4	48			48.0
9	მოთუთუებული თუნუქის ფურცელი (სისქით 0,5 მმ)	მ2	15	7	105.0					105.0
13	ლურსმანი	კგ	20	2	40.0		0			40.0
14	წებო	ც	4	5	20.0		0			20.0
15	სამშენებლო მასალების ჩამოტვირთვა და ატანა სახურავზე	ტონა	0.9			40	36			36.0
16	სამშენებლო ნარჩენის ჩამოტანა და გატანა	ტონა	7.5			10	75.00			75.0
	ჯამი				2460.4		1162			3622.4
	სატრანსპორტო ხარჯი 3 %									73.8
	ჯამი									3696.2
	ზედნადები ხარჯები 10 %									369.6
	ჯამი									4065.8
	გეგმიური დაგროვება 8 %									325.3
	ჯამი									4391.1
	დ.ღ.გ. 18%									790
	ჯამი									5181.5

შ.პ.ს. "ლ და კ" -ს დირექტორი ჯ. კაპანაძე

დანართი №2

გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა

კიკვიძის ქ. № 12 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია

№	სამუშაოების დასახელება	განზომილ.	რაოდენობ.	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	დაზიანებული სახურავის დემონტაჟი ძირს ჩამოტანით	მ2	513			1	513			513.0
2	სახურავის მოწყობა მოთუთუებული პროფნასტილით	მ2	393		0.0	3.75	1473.75			1473.8
3	მოთუთიებული პროფნასტილი (სისქით 0,5 მმ)	მ2	492	8.5	4182.0		0			4182.0
4	კეხის მოწყობა მოთუთუებული თუნიქით	გ/მ	67			2	134			134.0
5	მოთუთუებული თუნუქის ფურცელი (სისქით 0,5 მმ)	მ2	27	7	189.0					189.0
6	რუსული ღარის მოწყობა მოთუთუებული თუნუქის ფურცელი	მ2	120	0	0.0	4	480			480.0
7	მოთუთუებული თუნუქის ფურცელი (სისქით 0,5 მმ)	მ2	144	7	1008.0					1008.0
8	სამერცხლულის მოწყობა მოთუთუებული თუნუქის ფურცლით	ც	1	30	30.0	30	30			60.0
9	შიფრის ლურსმანი	კბ	25.00	4	100.0		0			100.0
10	წებო	ც	6	5	30.0		0			30.0
11	წყალშემკრები ძაბრის მოწყობა	წერტ	5	4	20.0	15	75	20	100	95.0
12	თუნუქის სადინარი მილის მონტაჟი d=100 mm	გ/მ	60	5	300.0	1	60			360.0
13	გამომწვარი მავთული	კბ	1	2.1	2.1		0			2.1
14	90° თუნუქის მუხლის მონტაჟი d=100 mm	ც	5	2	10.0		0			10.0
15	სამშენებლო მასალების ჩამოტვირთვა და ატანა	ტონა	2.1			40	84			84.0
16	სამშენებლო ნარჩენის ჩამოტანა და გატანა	ტონა	15.000			10	150.00			150.0
	ჯამი				5871.1		2999.75			8870.9

დანართი №2

	ტრანსპორტო ხარჯი 3 %									176.1
	ჯამი									9047.0
	ზედნადები ხარჯები 10 %									904.7
	ჯამი									9951.7
	გეგმიური დაგროვება 8 %									796.1
	ჯამი									10747.8
	დ.ღ.გ. 18%									1934.6
	ჯამი									12682.4

შ.პ.ს. "ლ და კ" -ს დირექტორი

დ. ქაპანაძე

L. & K. LTD. GEORGIA 216441232

დანართი №3

გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა

კიკვიძის ქ. № 10 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია

№	სამუშაოების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	დაზიანებული სახურავის დემონტაჟი ძირს ჩამოტანით	მ2	739		0.0	1	739			739.0
2	I ხარისხის ხის მასალის მოწყობა	მ3	0.5	572	286.0	130	65			351.0
4	სახურავის მოწყობა მოთუთუებული პროფნასტილით	მ2	544*			3	1632			1632.0
5	მოთუთუებული პროფნასტილი (სისქით 0,5 მმ)	მ2	680	8.5	5780.0					5780.0
6	ჩამოფენა	მ2	60			4	240			240.0
7	მოთუთუებული თუნუქის ფურცელი (სისქით 0,5 მმ)	მ2	72	7	504.0					504.0
8	რუსული ღარის მოწყობა მოთუთუებული თუნუქის ფურცლით	მ2	135	0	0.0	4	540			540.0
9	მოთუთუებული თუნუქის ფურცელი (სისქით 0,5 მმ)	მ2	162	7	1134.0					1134.0
10	კეხის მოწყობა მოთუთუებული თუნუქის ფურცლით	გ/მ	30			4	120			120.0
11	მოთუთუებული თუნუქის ფურცელი (სისქით 0,5 მმ)	მ2	10	7	70.0					70.0
12	სამერცხლულის მოწყობა მოთუთუებული თუნუქის ფურცლით	ც	2	30	60.0	30	60			120.0
13	შიფრის ლურსმანი	კგ	30	4	120.0		0			120.0
14	წებო	ც	5	5	25.0		0			25.0
15	წყალშემკრები ძაბრის მოწყობა	წერტ.	6	4	24.0	15	90	20	120	234.0
16	თუნუქის სადინარი მილის მონტაჟი d100მმ	გ/მ	54	5	270.0	1	54			324.0
17	გამომწვარი მავთული	კგ	1	2.1	2.1		0			2.1

L. & K. LTD * GEORGIA * 216441232

18	90° თუნუქის მუხლის მონტაჟი d=100 mm	ც	6	2	12.0		0			12.0
19	სამშენებლო მასალების ჩამოტვირთვა და ატანა სახურავზე	ტონა	3			40	120			120.0
20	სამშენებლო ნარჩენის ჩამოტანა და გატანა	ტონა	20.0			10	200.00			200.0
	ჯამი				8287.1		3860			12267.1
	სატრანსპორტო ხარჯი 3 %									248.6
	ჯამი									12515.7
	ზედნადები ხარჯები 10 %									1251.6
	ჯამი									13767.3
	გეგმიური დაგროვება 8 %									1101.4
	ჯამი									14868.7
	დ.ღ.გ. 18%									2676
	ჯამი									17545.0

შ.პ.ს. "ლ და კ" -ს დირექტორი

დ. ქაპანაძე

დანართი №4

გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა

დუმბაძის ქ. №34 საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები

№	სამუშაოების დასახელება	განზ.ერთ	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	დაზიანებული სახურავის დემონტაჟი ძირს ჩამოტანით	მ2	950		0.0	1	950			950.0
2	სახურავის მოწყობა მოთუთუებული პროფნასტილით	მ2	950			3.75	3562.5			3562.5
3	მოთუთუებული პროფნასტილი (სისქით 0,5 მმ)	მ2	1195	8.5	10157.5					10157.5
4	ჩაფენის მოწყობა	მ2	34			4	136			136.0
5	მოთუთუებული თუნუქის ფურცელი (სისქით 0,5 მმ)	მ2	40	7	280.0					280.0
6	კეხის მოწყობა	გ/მ	100			3	300			300.0
7	მოთუთუებული თუნუქის ფურცელი (სისქით 0,5 მმ)	მ2	33	7	231.0					231.0
8	დაზიანებული ხე-მასალის დემონტაჟი	მ3	1.5			30	45			45.0
9	I ხარისხის ხის მასალის მოწყობა	მ3	1.5	572	858.0	40	60			918.0
10	შიფრის ლურსმანი	კგ	40	4	160.0		0			160.0
11	წებო	ც	5	4	20.0		0			20.0
12	სამშენებლო მასალების ჩამოტვირთვა და ატანა სახურავზე	ტონა	6.8			40	272			272.0
13	სამშენებლო ნარჩენის ჩამოტანა და გატანა	ტონა	30.0			10	300.00			300.0
	ჯამი				11706.5		5626			17332.0
	სატრანსპორტო ხარჯი 4 %									468.3
	ჯამი									17800.3
	ზედნადები ხარჯები 10 %									1780.0
	ჯამი									19580.3
	გეგმიური დაგროვება 8 %									1566.4
	ჯამი									21146.7
	დ.დ.გ. 18%									3806
	ჯამი									24953.1

შ.პ.ს. "ლ და კ" -ს დირექტორი

ლ. ფ. კ. დ. ყანანაძე

ლანართი №5

გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა

ბათუმის ქ. №21 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია

№	სამუშაოების დასახელება	განზომილება	რაოდენობა	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		ჯამი
				ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	დაზიანებული სახურავის დემონტაჟი ძირს ჩამოტანით	მ2	871		0.0	1	871			871.0
2	სახურავის მოწყობა მოთუთუებული პროფნასტილით	მ2	720			3.75	2700			2700.0
3	მოთუთუებული პროფნასტილი (სისქით 0,5 მმ)	მ2	900	8.5	7650.0					7650.0
4	დაზიანებული ხე-მასალის დემონტაჟი	მ3	1			30	30			30.0
5	I ხარისხის ხის მასალის მოწყობა	მ3	1	572	572.0	40	40			612.0
6	პარაპეტის მოწყობა მოთუთუებული თუნუქის ფურცლით	მ2	70			3	210			210.0
7	მოთუთუებული თუნუქის ფურცელი (სისქით 0,5 მმ)	მ2	84	7	588.0					588.0
8	ენდაო	მ2	40			4	160			160.0
9	მოთუთუებული თუნუქის ფურცელი (სისქით 0,5 მმ)	მ2	48	7	336.0					336.0
10	რუსული ღარის მოწყობა მოთუთუებული თუნუქის ფურცელით	მ2	41	0	0.0	4	164			164.0
11	მოთუთუებული თუნუქის ფურცელი (სისქით 0,5 მმ)	მ2	50	7	350.0					350.0
12	სამერცხლულის მოწყობა მოთუთუებული თუნუქის ფურცლით	მ	2	30	60.0	30	60			120.0
13	ლურსმანი	კგ	40	2	80.0		0			80.0
14	წებო	მ	8	5	40.0		0			40.0

L. & K.

15	სამშენებლო მასალების ჩამოტვირთვა და ატანა სახურავზე	ტონა	4.3			40	172			172.0
16	სამშენებლო ნარჩენის ჩამოტანა და გატანა	ტონა	27.0			10	270.00			270.0
	ჯამი				9676.0		4677			14353.0
	სატრანსპორტო ხარჯი 3 %									290.3
	ჯამი									14643.3
	ზედნადები ხარჯები 10 %									1464.3
	ჯამი									16107.6
	გეგმიური დაგროვება 8 %									1288.6
	ჯამი									17396.2
	დ.დ.გ. 18%									3131
	ჯამი									20527.5

შ.პ.ს. "ლ და კ" -ს დირექტორი

დ. კაპანაძე

89749/01
29 05 2

საქართველოს მთავრობის

განკარგულება

№939 2012 წლის 21 მაისი ქ. თბილისი

ოვითმმართველი ქალაქი რუსთავისათვის საქართველოს
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან
თანხის გამოყოფის შესახებ

1. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის „ე-2" პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოვითმმართველ ქალაქ რუსთავს გამოეყოს 300 (ორასი ათასი) ლარი.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ რუსთავის მერიამ ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი ნიკოლოზ გილაური

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

06055/ 20576

12 ივნისი 2012 წელი

ქ. თბილისი, საქართველო

ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია #SH1454/12

ვის: თვითმმართველი ქალაქი რუსთავს

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ **შპს "ლ და კ"-მ** (ს/კ:216441232) (შემდგომში "მიმწოდებელმა") მასსა და **თვითმართველ ქალაქი რუსთავს** შორის **თვითმმართველ ქალაქ რუსთავში საცხოვრებელი კორპუსების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე** გასაფორმებელი ხელშეკრულების შესაბამისად იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია, მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე. ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთ აღნიშნული გარანტია.

ამასთან დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე

2,700 (ორი ათას შვიდასი) ლარი

და ვკისრულობთ ზემო აღნიშნული თანხის გადახდას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე თქვენი პირველივე წერილობითი მოთხოვნისთანავე 5(ხუთი) საბანკო დღის განმავლობაში. მოთხოვნის წერილი დადასტურებული უნდა იყოს ბენეფიციარის უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ბეჭდით.

ამასთანავე ვაცხადებთ, რომ ნებისმიერი მოთხოვნა ან პრეტენზია ჩვენ, როგორც გარანტორმა ბანკმა, უნდა მივიღოთ არა უგვიანეს **2012 წლის 30 სექტემბრისა**, შემდეგ მისამართზე: **სს "ლიბერთი ბანკი", ი. ჭავჭავაძის გამზირი #74, ქ. თბილისი 0162, საქართველო.**

წინამდებარე საბანკო გარანტია ავტომატურად უქმდება:

ა) საბანკო გარანტიის ვადის გასვლით;
ბ) ბენეფიციარის მიერ საბანკო გარანტიიდან გამომდინარე თავის უფლებებზე წერილობითი უარის თქმით;
გ) ბანკის მიერ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ბენეფიციარისათვის სრულად გადახდით;
დ) საბანკო გარანტიის ორიგინალის ბანკისათვის დაბრუნებით.

შოთა დეკანოსიძე
სტრუქტურული დაფინანსების და დოკუმენტური ოპერაციების დირექტორი

თეიმურაზ აბულაძე
საკრედიტო რისკების მიმართულების ხელმძღვანელი